სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/89

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე ღია საერთაშორისო კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 06 ივნისის №01-05-02/14 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარედგინოს რექტორს წინადადება 2025/2026 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2025 წლის 09 ივნისიდან ღია საერთაშორისო კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

2. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის განაცხადის და ანკეტის ფორმები(დანართი 2, დანართი 3).

4. დამტკიცდეს აკადემიურ პერსონალთან დასადები ხელშეკრულების ფორმა (დანართი 4).

5. დამტკიცდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი (დანართი 5).

6. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე პრესაში გამოქვეყნდეს 2025 წლის 09 ივნისს.

7. საკონკურსო კომისიები და სამდივნოები შეიქმნას საკონკურსო განცხადებების მიღების დაწყებამდე.

8. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადები განისაზღვროს 2025 წლის 09 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით, შესაბამისი საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

9. კონკურსი ჩატარდეს 2025 წლის 16 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

10. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2025 წლის 23 ივლისს, საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

11. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2025 წლის 30 ივლისს.

12. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესაბამისად.

13. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**